ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №14
2015 წლის 7 აპრილი

ქ. ბათუმი

,,ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 13 აგვისტოს №08 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

1. ,,ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" (www.matsne.gov.ge,18.08.2014წ, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010260010.35.133.016103) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 13 აგვისტოს №08 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში განხორციელდეს ცვლილება და დებულების მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის ,,ე" პუნქტს დაემატოს ,,ე.ლ" ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ე.ლ) ითანხმებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების ხარჯთაღრიცხვას, ამტკიცებს მათ საშტატო განრიგს, სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამებს და მისაღები კონტიგენტის ოდენობას, ახორციელებს მათ საქმიანობაზე კონტროლს და შემოწმებას, ასევე ახორციელებს კერძო სამართლის იურიდიული პირების პარტნიორ(ებ)ის (დამფუძნებლის) უფლებამოსილებას; როგორც დამფუძნებელი პარტნიორი იღებს გადაწყვეტილებას ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაქვემდებარებული კერძო სამართლის იურიდიული პირების დირექტორების დანიშვნის/გათავისუფლების შესახებ, ამტკიცებს კერძო სამართლის იურიდიული პირის წესდებას და ახორციელებს კერძო სამართლის იურიდიული პირების მართვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ღონისძიებებს."

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გამოქვეყნებისთანავე.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ჯუმბერ ბერიძე**